სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მუშაობა** Social Work
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მუშაობის ბაკალავრი** Bachelor of Social Work
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და ითვალისწინებს სტუდენტის მიერ 240 კრედიტის (ECTS) დაგროვებას: **125 კრედიტი (ECTS) – მაპროფილებელი სასწავლო კურსები:** *ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 90 კრედიტი (ECTS) (მათ შორის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები 35 კრედიტი (ECTS).* **45 კრედიტი (ECTS) -საფაკულტეტო სასწავლო კურსები:** *საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS);* *საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები - 10 კრედიტი (ECTS);* *საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები -15 კრედიტი (ECTS).* **10 კრედიტი (ECTS) – თავისუფალი კრედიტები;** **60 კრედიტი (ECTS) – დამატებითი სპეციალობა (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტები საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან.**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**სალომე ნამიჭეიშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	1. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 3. საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში. 4. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დარგის კვალიფიციური სპეციალისტები (სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკოსები) ადამიანების, მათი ოჯახებისა და ჯგუფების სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ: 1. უზრუნველყოს სტუდენტები სოციალური მუშაობის თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების შესახებ ფართო ცოდნით; 2. გააცნოს სტუდენტებს სოციალური მუშაობის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებისა და მათთან მუშაობის მახასიათებლები ადამიანების, მათი ოჯახებისა და ჯგუფების სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად; 3. განუვითაროს სტუდენტს სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის განხორციელების უნარ-ჩვევები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

	4. განუვითაროს სტუდენტებს პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დაცვისა და საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიის უნარი.
სწავლის შედეგები	სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები:
ა) ცოდნა და გაცნობიერება *ბ) უნარები* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	1. <u>დეტალურად აღწერენ</u> ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ადამიანთაშორისი ურთიერთობების დინამიკას და <u>განმარტავენ</u> მათ მნიშვნელობას სოციალური მუშაობის მომსახურების პროცესში მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე; 2. <u>აღწერენ</u> სოციალური მუშაობის სამართლებრივი საფუძვლებისა და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკების გავლენას სოციალური მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე; 3. სოციალური მუშაობის მეთოდების კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებით <u>ირჩევენ</u> შესაფერის მეთოდს ადამიანების მხარდასაჭერად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე პრაქტიკაში არსებული მიდგომების გათვალისწინებით; 4. <u>მსჯელობენ</u> სოციალური მუშაობის ღირებულებებისა და კულტურულ-ტრადიციული ნორმების გავლენის შესახებ სოციალური მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე; 5. <u>განსაზღვრავენ</u> სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზებს და აყალიბებენ ზოგიერთ რეკომენდაციას ამ პრობლემების გადასაჭრელად კვლევით პროექტში მონაწილეობის გზით სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ; 6. <u>ამყარებენ</u> ეფექტურ კომუნიკაციას ყველა იმ სამიზნე ჯგუფთან, რომელსაც სთავაზობენ სოციალური მუშაობის მომსახურებას (მაგ.,

	სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებთან); 7. სოციალური მუშაობის სამიზნე ჯგუფების საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების ანალიზის საფუძველზე, <u>ახდენენ</u> მათი საჭიროებების ადვოკატობას; 8. <u>იყენებენ</u> არაგანსჯით და ანტიდისკრიმინაციურ მიდგომას უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკაში სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსის შესაბამისად; 9. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ფასეულობების გათვალისწინებით <u>ახორციელებენ</u> საკუთარი პრაქტიკის შეფასებასა და განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:** 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი 3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება 4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო პრაქტიკა ორგანიზაციებში, რომელიც საზოგადოებას სოციალური მუშაკის მომსახურებას თავაზობს 5. საველე მუშაობა 6. ელექტრონული სწავლება **სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორიცაა:** 1. ლექცია, სემინარი 2. დისკუსია, დებატები 3. ჯგუფური მუშაობა 4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

	5. შემთხვევის ანალიზი 6. გონებრივი იერიში 7. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სასწავლო კურსებით განსაზღვრული სხვა მეთოდები.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.*

	შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები** *(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[1] მიხედვით):* **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით** (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

[1] საბაკალავრო ნაშრომის მომზადბისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

	საბაკალავრო ნაშრომს აფასებს: ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. • **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა** • **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა** • **ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა** **ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **შეფასების კრიტერიუმები:** ხელმძღვანელის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური ქულა - 10. ***ა) შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა:*** • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ***ბ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:*** • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 20. ***ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:*** • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ***ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:***

	• პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი *გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს. *ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; • კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი. *ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;* *გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;* *დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:* • საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე • ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა. **შენიშვნა:** საბაკალავრო ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლები 3 წევრისაგან) მტკიცდება დეკანის ბრძანებით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების

	ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
დასაქმების სფეროები	საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს, მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისად, ექნებათ შემდეგ სფეროებში დასაქმების შესაძლებლობა: ● ბავშვთა და მათი ოჯახების კეთილდღეობა და დაცვა; ● ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა; ● არასრულწლოვანთა და ზრდასრულთა მართლმსაჯულება; ● ქალთა დაცვა ძალადობისგან; ● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა; ● ხანდაზმულთა დაცვა; ● ადამიანის უფლებების დაცვა; ● ძალადობის პრევენცია, ძალადობისგან დაცვა; ● უსახლკაროთა დაცვა; ● უმუშევართა დაცვა; ● ზიანის შემცირება.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	● პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. ● უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალი:** 1. სალომე ნამიჭეიშვილი - ასოცირებული პროფესორი 2. ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი 3. თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი

	4. ნათელა ფარცხალაძე - ასოცირებული პროფესორი 5. იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი 6. ნოდარ ბელქანია - პროფესორი 7. ლელა გაფრინდაშვილი - ასოცირებული პროფესორი 8. შორენა თურქიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი **ასევე, შემდეგი პერსონალი:** – მაპროფილებელი სასწავლო კურსების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალი - 13 – საფაკულტეტო სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი - 48 – ფაკულტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები - 44 **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი:** პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ თსუ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს: ● ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ) ● ბიბლიოთეკას, დაახლოებით, 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში ● 22 პერსონალურ კომპიუტერს ● ინტერნეტ მომსახურებას ● 5 პრინტერს ● ქსეროკოპირების მანქანას ● 2 პროექტორს ● ფაქსს, სკანერს და ა.შ. სარესურსო ცენტრი ღიაა 9:00 - დან 18:00 საათამდე სამუშაო დღეებში (შესვენება 13.00–14.00 სთ.). სარესურსო ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50 – ზე მეტი სტუდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 60 სტუდენტი. თსუ–ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეიძინონ დამატებითი სპეციალობა, რისთვისაც მათ

	მოუწევთ დააგროვონ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე. სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ თითოეული სასწავლო კურსის პედაგოგისგან ინდივიდუალური კონსულტაცია წინასწარ დაგეგმილი ცხრილის შესაბამისად. ასევე, პროგრამას ემსახურება ორი სპეციალისტი/ტუტორი, რომლებიც სტუდენტებს ეხმარებიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში. ***შენიშვნა:*** *საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე, თავისუფლდებიან ინგლისური ენის (ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2) სავალდებულო 10 კრედიტისგან და სავალდებულო კრედიტებს შეავსებენ თავისუფალი კრედიტებით.*

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: სალომე ნამიჭეიშვილი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №120/ 2021, 22/12/2021 (დანართი № 38)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №805732; 30/06/2022 - 30/06/2029
https://eqe.ge/ka/deqars/689/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022-2023 შემოდგომის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[2] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 -07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[2] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები 45 (ECTS)																	
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 20 კრედიტი (ECTS)																	
№	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სულ	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლის სემესტრები								ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაოჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და				I - შემოდგომა	II - გაზაფხული	III - შემოდგომა	IV - გაზაფხული	V - შემოდგომა	VI - გაზაფხული	VII - შემოდგომა	VIII - გაზაფხული	
1	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე (არჩევა მე-2 სემესტრიდან)		✓	✓						ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი

2	აკედემიური წერა	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							რევაზ ჯორბენაძე თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე თეონა თაბუაშვილი
3	ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓								ენების ცენტრის პედაგოგი
4	ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓							ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - მინიმუმ 10 კრედიტი (ECTS)																	
1	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							ჯამლეტ ჯანჯღავა ზურა გამთენაძე
2	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში მირანდა მიქაძე თამარ დორეული
3	ლოგიკა	5	30	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							მოწვეული ლექტორი
4	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							კოსტანტინე შუბითიძე
5	მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6	ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓							ვალერიან რამიშვილი გიორგი გრიგოლაშვილი

7	საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓								ვალერიან მელიქიძე
8	მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓								ჯაბა ურუტაძე
9	გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓									ვლადიმერ ჩხაიძე დავით სვანაძე
10	საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓								რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
11	სტატისტიკა	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები - 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)																		
1	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								თამარ დოლბაია იოსებ სალუქვაძე გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე
2	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ვლადიმერ ნაფეტვარიძე სანდრო ტაბატაძე

3	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი
4	საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე გვანცა აბდალაძე
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	7	73	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
სოციალური მუშაობის მაპროფილებელი სასწავლო კურიკულუმი - 125 კრედიტი (ECTS) მათ შორის: სოციალური მუშაობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 90 კრედიტი (ECTS) სოციალური მუშაობის სპეციალობის არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (ECTS)																		
სოციალური მუშაობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 კრედიტი (ECTS) **საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (ECTS)**																		
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓								ნათელა ფარცხალაძე, ზურაბ ტატანაშვილი, გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა	5	15	15	3	92	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓							ნათელა ფარცხალაძე, თეონა მამუკიშვილი

3	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I	5	15	15	3	92	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓						თამარ მახარაძე
4	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓						თამარ მახარაძე
5	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები II	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები I				✓					თამარ მახარაძე
6	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში II	5	15	15	3	92	125	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I				✓					თამარ მახარაძე
7	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა				✓					ნათელა ფარცხალაძე, სალომე ჭიჭინაძე
8	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა					✓				თამარ მახარაძე
9	სოციალური მუშაობის სამართლებრივი ასპექტები	5	30	15	4	76	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა						✓			სალომე ნამიჭეიშვილი
10	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები:თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა						✓			ნინო შატბერაშვილი
11	სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა 1)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓						სალომე ნამიჭეიშვილი გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი

12	სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა 2)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა 1)				✓					სალომე ნამიჭეიშვილი ნელი აკობია, გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი ნათელა ფარცხალაძე
13	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ინდივიდებსა და ოჯახებთან (პრაქტიკა 3)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა 2)					✓				სალომე ნამიჭეიშვილი ნელი აკობია, გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი
14	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ინდივიდებსა და ოჯახებთან (პრაქტიკა 4)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ინდივიდებსა და ოჯახებთან (პრაქტიკა 3)						✓			სალომე ნამიჭეიშვილი ნელი აკობია, გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი
15	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჯგუფებსა და თემებთან (პრაქტიკა 5)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ინდივიდებსა და ოჯახებთან (პრაქტიკა 4)							✓		სალომე ნამიჭეიშვილი ნელი აკობია, გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი
16	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჯგუფებსა და თემებთან (პრაქტიკა 6)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჯგუფებსა და თემებთან (პრაქტიკა 5)								✓	სალომე ნამიჭეიშვილი ნელი აკობია, გურანდა თეთრაძე ირმა ბებერაშვილი
17	საბაკალავრო ნაშრომი	10	30			220	250	მინიმუმ 200 კრედიტი (მათ შორის მინიმუმ 75 კრედიტი - სოციალური მუშაობის მაპროფილებელი სავალდებულო სასწავლო კურსები)								✓	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
სოციალური მუშაობის არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი (ECTS)																	

1	საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		ნინო შატბერაშვილი
2	კლინიკური სოციალური მუშაობის საფუძვლები	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები; ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა				✓		✓		✓	ია შეყრილაძე
3	კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა	5	15	15	2	93	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		გიორგი წოწკოლაური
4	სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	ნათელა ფარცხალაძე, ზურაბ ტატანაშვილი
5	ჯანდაცვის პოლიტიკის საფუძვლები	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		თენგიზ ვერულავა
6	ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	თამარ მახარაძე
7	სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან	5	15	15	2	93	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	ნათელა ფარცხალაძე, გიორგი წოწკოლაური
8	სოციალური მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირებთან	5	15	15	2	93	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		ნათელა ფარცხალაძე, გიორგი წოწკოლაური
9	ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	ნათელა ფარცხალაძე
10	სოციალური მუშაობა და ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		სალომე ნამიჭეიშვილი
11	სოციალური მუშაობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	სალომე ნამიჭეიშვილი, თინათინ ცერცვაძე
12	ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		ზურაბ ტატანაშვილი

13	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და სერვისები	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	ნინო ტაბიძე
14	ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა	5	15	30	4	76	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	ლელა გაფრინდაშვილი
15	ლგბტქი იდენტობა - ბიო-ფსიქო-სოციალური პერსპექტივა	5	15	15	2	93	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	გიორგი წოწკოლაური
16	თანამედროვე სოციალური პრობლემები I	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		შორენა თურქიაშვილი
17	თანამედროვე სოციალური პრობლემები II	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	შორენა თურქიაშვილი
18	სოციალური კვლევები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა	5	15	30	4	76	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		ლელა გაფრინდაშვილი
19	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია (სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓	✓	✓	✓	✓	✓	ნოდარ ბელქანია
20	სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება (სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის შესავალი				✓		✓		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი
21	დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაკებისთვის I	5	15	15	5	90	125	ინგლისური ენა 2			✓		✓		✓		ეთერ პატარაია
22	დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაკებისთვის II	5	15	15	5	90	125	ინგლისური ენა 2				✓		✓		✓	ეთერ პატარაია
23	სოციალური მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში (ინგლისურენოვანი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓	✓	✓	✓	✓	✓	სალომე ნამიჭეიშვილი ნათელა ფარცხალაძე
24	ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში და მათი გადაჭრის გზები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		✓		✓		გიორგი ახმეტელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)
სტუდენტს შეუძლია არჩევა როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ნებისმიერი სხვა ფაკულტეტიდან ან ქართულ ან უცხოურ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტის აღიარება. ასევე, შეუძლია არჩევა მაპროფილებელი არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

დამატებითი სპეციალობა (Minor)

დამატებით პროგრამა სოციალურ მუშაობაში 60 კრედიტი - (ECTS)																	
სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი (ECTS)																	
№	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სულ	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლის სემესტრები								ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული	შუალედური და დასკვნითი გამოცდები				I - შემოდგომა	II - აზაფხული	III - შემოდგომა	IV - გაზაფხული	V - შემოდგომა	VI - გაზაფხული	VII - შემოდგომა	VIII - აზაფხული	
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓							ნათელა ფარცხალაძე, ზურაბ ტატანაშვილი, გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი სალომ ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი

2	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა	5	15	15	3	92	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		ნათელა ფარცხალაძე, თეონა მამუკიშვილი
3	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I	5	15	15	3	92	125	სოციალური მუშაობის შესავალი			✓		✓		✓		თამარ მახარაძე
4	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში II	5	15	15	3	92	125	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში I				✓		✓		✓	თამარ მახარაძე
5	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა				✓		✓		✓	ნათელა, ფარცხალაძე, სალომე ჭიჭინაძე
6	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა	5	15	15	5	90	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა					✓		✓		თამარ მახარაძე
7	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა						✓		✓	ნინო შატბერაშვილი

8	სოციალური მუშაობის სამართლებრივი ასპექტები	5	30	15	4	76	125	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა						✓		✓	სალომე ნამიჭეიშვილი
არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS) სტუდენტს შეუძლია 20 კრედიტი დააგროვოს ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნების საფუძველზე																	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი